ფეხბურთის ფედერაციის პრიზზე

განვლილ კვირას თბილისის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ბაქოს „ნეფთჩი“. ამ მატჩში ნათლად გამოიკვეთა ორივე გუნდის მწვრთნელთა პოზიციები ფედერაციის თასის გათამაშების მიმართ. თბილისელთა გუნდის ხელმძღვანელობამ მინდორზე უმთავრესად ახალგაზრდები გამოიყვანა. „დინამო“ ძირითად და სათადარიგო მოთამაშეთა ნაკრების სახით წარსდგა (ფეხბურთის მოყვარულებს გვინდა შევატყობინოთ, რომ თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში აღარ არიან ცნობილი თავდამსხმელები, სპორტის დამსახურებული ოსტატები, ვ. გუცაევი და რ. შენგელია). ბაქოელები კი თამაშზე თავიანთი ძირითადი შემადგენლობით გამოვიდნენ. რა თქმა უნდა, ძალების შეფარდება ასეთ ვითარებაში არათანაბარი იყო და გამოცდილმა ბაქოელებმა მიაღწიეს კიდეც გამარჯვებას, თუმცა მასპინძლები ხშირად უტევდნენ (განსაკუთრებით მეორე ტაიმში და სახიფათო მომენტებსაც ქმნიდნენ).

ერთადერთი ბურთი 43-ე წუთზე გაიტანა სულემანოვმა, რომელმაც კარგად გამოიყენა მარცხენა ფლანგიდან მოწოდებული ბურთი. თბილისელებს შეეძლოთ თუნდაც საპასუხო გოლის გატანა, მაგრამ მათ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს მატჩი:

„დინამო“ - ბალაძე, მიქაბერიძე, თარბა (მახარაძე), ცვეიბა, ბაკურაძე (ბიგვავა), გოგრიჭიანი (ჯოხაძე), სვანაძე, სულაქველიძე, ცაავა, გურული, რევიშვილი;

„ნეფთჩი“ - ჟიდკოვი, აზიმოვი, ბელიალოვი, აბდულაევი, პანჩიკი, ალაჰვერდიევი (რზაევი), სულეიმანოვი, მირზოევი, ჰუსეინოვი (ფედოროვკი), აჰმედოვი, ჯავადოვი.

მატჩი კარგად ჩაატარა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ა. კოკაია, მ. ჭელიძე, ჯ. წერეთელი.

ლელო 30.09.1986